# სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული N1294 კონკურსის კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი 24 ივლისი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან უჯმაჯურიძე - კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ პაპიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ავთანდილ კორახაშვილი- კომისიის წევრი

გივი ბასილაძე - კომისიის წევრი

ნატალია ხომასურიძე - კომისიის წევრი.

რევაზ სიჭინავა - კომისიის წევრი.

თენგიზ ქურდაძე - კომისიის წევრი.

აპარატის წევრები: ფრიდონ ალავიძე

თათია უშვერიძე

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის №6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობისა და დამხმარე ნაგებობების სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის და მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №1294 კონკურსში, კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების გახსნა-შერჩევა.

---

მოისმინეს: საკონკურსო კომიის თავჯდომარემ, ლევან უჯმაჯურიძემ კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს კომისიის აპარატის წევრი ფრიდონ ალავიძე.

აპარატის წევრმა, ფრიდონ ალავიძემ კომისიას მოახსენა რომ 2014 წლის 24 ივლისის 15:00 საათისთვის, საკონკურსოს წინადადება, შესაბამისი გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტითა და დალუქული კონვერტით წარმოადგინა ხუთმა პრეტენდენტმა :

1. შპს „საქპროექტარქიტექტურა“
2. შპს „ა.მ. არქიტექტურა“
3. შპს „ტურბილიონი“
4. შპს „არქსტუდიო“
5. შპს „new arch studuo“

განხილვა :

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვისას დადგინდა რომ :

- შპს „საქპროექტარქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკუროს წინადადებაში არა აქვს შემსყიდველის საკონკუროს განცხადების მე-14 მუხლით გათვალისწინებული ფოტომასალა, რომელიც უნდა ასახავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ.
- შპს „ ა.მ. არქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკუროს წინადადება სრულად შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს
- შპს „ ტურბილიონი“ -ს მიერ წარმოდგენილი საკონკუროს წინადადება სრულად შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს
- შპს „ არქსტუდიო “ -ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება:

  ა) საკონკურსო განცხადების მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, კერძოდ წარმოსადგენია ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს ინფორმაციას, პრეტენდენტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ;

  ბ) საკონკურსო განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, კერძოდ წარმოდგენილი რენდერი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ შენობაში მთავარი შესასვლელის მოწყობას არსებულ კიბის უჯრედთან.
- შპს „new arch studuo“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკუროს წინადადება სრულად შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს

დაადგინეს:

1. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ეთხოვოს შპს „ საქპროექტარქიტექტურა „-ს არაუგვიანეს 2014 წლის 28 ივლისისა, წარმოადგინოს საკონკურსო განცხადების მე-14 პუნქტით გათვალისწინებული ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ.

2. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ეთხოვოს შპს „ არქსტუდიო“-ს არაუგვიანეს 2014 წლის 28 ივლისისა, წარმოადგინოს :

ა) საკონკურსო განცხადების მე-14 პუნქტით გათვალისწინებული ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს ინფორმაციას, პრეტენდენტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ;

ბ) საკონკურსო განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად სათანადოდ კორექტირებული რენდერი, რომელზეც ადმინისტრაციულ შენობაში მთვარი შესასვლელი განთავსებული იქნება არსებულ კიბის უჯრედთან.

3. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს:

- მომზადოს შესაბამისი შეტყობინებები ინფორმაციის დაზუსტების შესახებ და უზრუნველყოს მათი მიწოდება შპს "საქპროექტარქიტექტურისათვის" და შპს „არქსტუდიოსათვის"
- წინამდებარე ოქმისა და კონკურსანტებისთვის გასაგზავნი წერილების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე - contest@procurement.gov.ge, არაუგვიანეს 2014 წლის 24 ივლისისა.

კომისიის თავმჯდომარე ლევან უჯმაჯურიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ პაპიძე

კომისიის წევრები: ავთანდილ კორახაშვილი

გივი ბასილაძე

ნატალია ხომასურიძე

რევაზ სიჭინავა

თენგიზ ქურდაძე

აპარატის წევრები: ფრიდონ ალავიძე

თათია უშვერიძე

**ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 09.07.2014-ს გამოცხადებული **N1294** კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ლევან უჯმაჯურიძე |
| კომისიის თავმჯდომარის მოადგილე | ნიკოლოზ პაპიძე |
| კომისიის წევრები: | ავთანდილ კორახაშვილი |
| | გივი ბასილაძე |
| | ნატალია ხომასურიძე |
| | რევაზ სიჭინავა |
| | თენგიზ ქურდაძე |
| აპარატის წევრები: | ფრიდონ ალავიძე |
| | თათია უშვერიძე |

24.07.2014